



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოაკიმე მღვდლის ელჩობა

იოაკიმე მღვდლის ელჩობა რუსეთში 1586–87, კახეთის სამეფოს ელჩობა რუსეთში.

ალექსანდრე II-მ კახეთიდან უკან დაბრუნებულ დანილოვის ელჩობას თან გააყოლა თავისი ელჩები: იოაკიმე მღვდელი, კირილე ბერი და ჩერქეზი ხურშიტა. 1586 ოქტომბერში ელჩები წარუდგნენ რუს. ხელმწიფეს. ალექსანდრე II-ის სახელით ისინი რუსეთისაგან ითხოვდნენ მდ. თერგზე ციხის აგებას და იქ ჯარის ჩაყენებას; თერგიდან საქართველოსკენ მომავალი გზის დაკავებას, რ-იც საშამხლოზე გადიოდა; კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას და გარეშე მტერთაგან დაცვას. მოლაპარაკებების დამთავრების შემდეგ ქართველ ელჩები კახეთში დაბრუნდნენ. მათ თან ჩამოჰყვათ რუსი ელჩები ბირკინის მეთაურობით (იხ. ბირკინის ელჩობა კახეთში).

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 4, თბ., 1967.

ვ. მაჭარაძე
